საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 8/ს
31/01/2022

8-21-4-202201311420

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N726 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 126[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 2018 წლის 19 აპრილის N2-255 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" და „მ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 იანვრის N784/01 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები (დანართი N1);

2. ბრძანება ძალაშია 2022 წლის 01 იანვრიდან;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 25 მარტის N34/ს ბრძანება;

4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს ამ ბრძანების სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსება;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6) კანონმდებლობით დადგენილ ერთი თვის ვადაში.

ანდრო ასლანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო